

ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდების სოციალურ ქსელებში არსებული სოციალური კაპიტალის კვლევა

მარია ახვლედიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარია ახვლედიანი

22/06/2018

აბსტრაქტი

ქუჩაში მცხოვრები და ქუჩიდან საზრდოს მიმღები ბავშვები და ახალგაზრდები ძირითადად მსოფლიოს განვითარებად და განუვითარებელ ნაწილში გვხვდება, მათი მდგომარეობის შესაცვლელად რიგ ქვეყნებში სოციალური სერვისების მიწოდება ხორციელდება. საქართველოში მათი ქუჩაში მოხვედრის მიზეზები განსხვავებულია და მოიცავს როგორც კულტურული ისე ეკონომიკური ფაქტორებს.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდების სოციალურ ქსელებში არსებული სოციალური კაპიტალის კვლევას რომელსაც საფუძვლად უდევს ეხლახანს წარმოებული კვლევის ანალიზი.

ჩატარებული თვისებრივი კვლევა „აივ ინფექციის პრევენცია ქუჩასთან დაკავშირებულ ახალგაზრდებთან“ მოიცავს ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდების მიმართ სერვისების განმხორციელებელი თითქმის ყველა რგოლის აქტორს.

კვლევის ანალიზის შედეგად დადგინდა რომ ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდები მეზო დონის კავშირებს ქმნიან, და დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის ფარგლებში ურთიერთობენ (Bonding social capital), ამ დასკვნის საფუძველზე შევიმუშავე რეკომენდაციები რომელიც მოიცავს როგორც რესურსებთან წვდომის გაუმჯობესებას ასევე სოციალ მუშაკთა პროფესიული თემის ჩართულობის გაზრდას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ახალგაზრდები, კაპიტალი, ქსელი, რესურსები.

Abstract

Children and adolescents living on the street and receiving nourishment from the street are encountered mostly in developing and undeveloped parts of the world. In order to alter their situation, social services are being provided in a number of countries. In Georgia, the reasons for their finding themselves on the street vary and include both cultural and economic factors.

This paper is a study of social capital existing within the social networks of the youths living in Georgian and connected to the street, based on analysis of recently conducted research.

Conducted qualitative research “HIV Prevention among the Young People Connected to the Street” included actors of almost all the links providing services to the youths connected to the street.

As a result of research analysis, it was determined that the youths connected to the street establish mezo-level contacts and interact within bonding social capital. Based on this conclusion I have developed recommendations, which encompass both improvement of accessibility of resources and increase of involvement of the professional community of social workers.

Key words: adolescents, capital, network, resources.